N173

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულება N173

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „23" დეკემბერი 2013 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებს, ასევე სრული დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მიწიშნება;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის ავთანდილ ძაგანიას სახით

ერთის მხრივ ——————————(შემდგომში - „შემსყიდველი"),

შპს „ავტო მასტერ სერვისი", წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ დავითაშვილის სახით

და მეორეს მხრივ ——————————(შემდგომში - „მიმწოდებელი") შორის

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი– ჰონდა CR-V (HONDA CR-V) ფირმის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი – JSJ-101) შიდა ყუმბარის პილნიკისა და რულავოი პილნიკის შეცვლისა და რაზვალის გასწორების (შესყიდვის ობიექტის დანაყოფის დასახელება „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები", კლასიფიკატორის კოდი - 50100000) შესყიდვა** (გამარტივებული შესყიდვის ფორმით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად).

4. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

4.1. ხელშეკრულების ობიექტია სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი– ჰონდა CR-V (HONDA CR-V) ფირმის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი – JSJ-101):

ა. შიდა ყუმბარის პილნიკის შეცვლა(შესყიდვის ობიექტის დასახელებაა „მანქანის ტექნიკური მომსახურება", დანაყოფის კოდი - 50112200),

ბ. რულავოი პილნიკის შეცვლა(შესყიდვის ობიექტის დასახელებაა „მანქანის ტექნიკური მომსახურება", დანაყოფის კოდი - 50112200),

გ. რაზვალის გასწორება(შესყიდვის ობიექტის დასახელებაა „მანქანის ტექნიკური მომსახურება", დანაყოფის კოდი - 50112200).

4.2. *გასაწევი მომსახურების* საერთო ღირებულება შეადგენს: 90 (ოთხმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.3. *გასაწევი მომსახურების* ერთეული ფასი შეადგენს: სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი– ჰონდა CR-V (HONDA CR-V) ფირმის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი – JSJ-101):

ა. შიდა ყუმბარის პილნიკის შეცვლის ღირებულებაა – 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი,

ბ. რულავოი პილნიკის შეცვლის ღირებულებაა – 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი,

გ. რაზვალის გასწორების ღირებულებაა – 20 (ოცი) ლარი.

4.4. *გასაწევი მომსახურების* რაოდენობა - სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი– ჰონდა CR-V (HONDA CR-V) ფირმის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი – JSJ-101):

ა. შიდა ყუმბარის პილნიკის შეცვლა,

ბ. რულავოი პილნიკის შეცვლა,

გ. რაზვალის გასწორება.

4.5. *მომსახურების გაწევა მოხდება* შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის N5.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნული მომსახურება, მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და ვარგისიანობაზე;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს წინარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით აღნიშნული მომსახურება 2013 წლის 31 დეკემბრამდე;

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება;

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

5.6. მიმწდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებისას;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს „ნუცა გახარიასათვის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის კოორდინატორის ფუნქციების დაკისრების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 26 სექტემბრის N01/137 ბრძანების საფუძველზე დანიშნული შესყიდვების კოორდინატორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნუცა გახარია.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინაადმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში);

9.2. ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების მიღებიდან და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმებიდან არაუგვიანეს 05 საბანკო დღის განმავლობაში;

9.3. ანგარისშწორების ფორმაა უნაღდო. გადარიცხვა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შეცვლის, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლოსაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

„შემსყიდველი"
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკის სამინისტრო
მინისტრი
ავთანდილ ძაგანია

(ხელმოწერა)

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42
ს/კ 249 267 172
სს „თი-ბი-სი ბანკის" საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: **TBC BGE22**
ა/ა 301 340 801 000 04
ტელეფ/ფაქსი: 032 239 41 13

„მიმწოდებელი"
შპს „ავტო მასტერ სერვისი"
დირექტორი

მიხეილ დავითაშვილი

(ხელმოწერა)

ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N5
ს/კ 436033187
ბანკი კონსტანტა JSC
ბანკის კოდი: **CNB GE 22**
ა/ა **GE72CN0000036201363947**
ტელეფ: 032 2 607 600

შემსყიდველი

მიმწოდებელი

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი ურთიერთობა და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან, კერძოდ, 2013 წლის 23 დეკემბრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ავთენტური ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო პირი რჩება მხარეებს.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____